



TUCATINIB - TUKYSA®

რა არის TUKYSA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ტუკატინიბი	150 მგ-იანი და 50 მგ-იანი ტაბლეტი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი ტაბლეტი, რომლებიც უნდა მიიღოთ დღეში ორჯერ, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაუცვამცების, გატეხვის ან წყალში გახსნის გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების შემდეგ.

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორჯერ დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან ან მის გარეშე	
ყოველდღე, უწყვეტლივ	
	დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო.

ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს და თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

TUKYSA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის მოხმარებას TUKYSA®-თან ერთად.



რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	მომწელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, ღებინება, წონის კარგვა, ანთება პირის ღრუში (აფთები) კანის დარღვევები: გამონაყარი სხვა: სისხლდენა, სახსრების ტკივილი ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ღვიძლის და თირკმლის ანალიზის ანომალიები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	მომწელებელი სისტემის დარღვევები თუ დიდი რაოდენობით და/ან სწრაფად დაკარგეთ წონა ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში ტკივილები პირის ღრუში ან აფთები, რომლებიც ხელს გიშლით ნორმალურ კვებაში ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. სისხლდენის სიმპტომები: სისხლი განავალში ან ღებინების შემთხვევაში ჰემატომები (ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
კანის მოვლა	<u>ხელეზა და ტერფებზე:</u> წაისვით კრემი ან დამატენიანებელი რძე და/ან შემახორცებელი კრემი ხელეზა და ტერფებზე (რაც შეიძლება რბილად). მოარიდეთ ხელები და ტერფები სიცხეს (ცხელი წყალი) მოერიდეთ აქტივობებს, რომლის დროსაც ხდება ხახუნი ან წარმოიქმნება წრილობები. ნუ ატარებთ ძალიან მოჭერილ ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს <u>სხეულზე:</u> უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი, გაიკეთეთ პირის ღრუ სავლები სოდის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს.
სახსრების ტკივილი	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
ანთება პირის ღრუში (აფთები)	მოერიდეთ მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

